საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-20-9/156
31/12/2019

156-გ-20-1-4-201912311641

მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2019 წლის 3 ოქტომბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება N გ-19-23 / 567 „მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“. ამავე გადაწყვეტილებით, საკითხის ზეპირი მოსმენის დღედ განისაზღვრა 2019 წლის 7 ნოემბერი. კომისიის 2019 წლის 7 ნოემბრის Nგ-19-19/628 გადაწყვეტილებით, ცვლილება იქნა შეტანილი კომისიის Nგ-19-23/567 გადაწყვეტილებაში და საკითხის ზეპირი მოსმენის დღედ განისაზღვრა 2019 წლის 5 დეკემბერი.

2019 წლის 5 დეკემბერის ზეპირი მოსმენის სხდომაზე №19 საოქმო გადაწყვეტილებით გამოცხადდა შესვენება და ზეპირი მოსმენა გაგრძელდა 2019 წლის 19 დეკემბერს. 2019 წლის 19 დეკემბრის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიამ მიიღო საოქმო გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის დასრულების და საკითხის არსებითი განხილვის 2019 წლის 30 დეკემბერს ჩანიშვნის შესახებ. 2019 წლის 30 დეკემბრის საკითხის განხილვის სხდომაზე კომისიის გადაწყვეტილებით სხდომა გადაიდო 2019 წლის 31 დეკემბერს. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2019 წლის 31 დეკემბერს.

კომისიის სხდომებს ესწრებოდნენ: ლ. გიორგაძე - შპს „მაგთიკომის“ კონსულტანტი, დ. ძიძიგური - შპს „მაგთიკომის “ იურისტი, ნ. დავითაშვილი - შპს „მაგთიკომის“ ტექნიკური დირექტორი, ლ. ბუჩუკური - სს „სილქნეტის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, თ. ტყეშელაშვილი - სს „სილქნეტის“ პროექტების განვითარების სამსახურის უფროსი, კ. ყურაშვილი - სს „სილქნეტის“ სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი, მ. ჟორჟიკაშვილი - სს „სილქნეტის“ კორპორატიული სამსახურის ხელმძღვანელი, ზ. გულუა - სს „სილქნეტის“ კორპორატიული გაყიდვების განყოფილების უფროსი, ი. ესართია - შპს „ვიონი საქართველოს“ სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი.

კომისია აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში კომისიის მიერ მიღებულმა რიგმა მნიშვნელოვანმა გადაწყვეტილებებმა ქვეყანაში მობილური მომსახურებების ბაზარზე კონკურენტული ფასების ჩამოყალიბების წინაპირობა უზრუნველყო. შესაბამისად, ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შენარჩუნებისა და კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, „მობილური ქსელით საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

შედეგების შესახებ“, კომისიის 2019 წლის 30 აპრილის №267/9 და „მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების და მოკლე ტექსტური შეტყობინებების („SMS“) ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2019 წლის 30 აპრილის №268/9 გადაწყვეტილებების მიღებისას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, როგორც ეროვნულ როუმინგზე დაშვების, ასევე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (შემდგომში, ასევე MVNO) მიერ მობილური მომსახურების ბაზარზე შესვლის ხელშეწყობისთვის, მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარება და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებისათვის როგორც ეროვნულ როუმინგზე, ასევე MVNO ქსელთან დაშვებაზე სპეციფიკური ვალდებულებების განსაზღვრა.

შესაბამისად, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის მობილური მომსახურების ბაზარზე დაშვების, წესებისა და ვალდებულებების შემუშავების მიზნით კომისიის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა საკონსულტაციო კომპანია „PriceWaterhouseCoopers Advisory, s.r.o“ (“PwC”). აღნიშულმა კომპანიამ კომისიასთან ერთად შეიმუშავა სარეკომენდაციო დოკუმენტი ეროვნული როუმინგისა და MVNO-ს მსურველი პირებისათვის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მობილური ოპერატორების კუთვნილ ქსელებთან დაშვების პირობების, მათ შორის დაშვების ფასის ე.წ. Retail Minus მეთოდოლოგიით დათვლის, შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი 2019 წლის 26 ნოემბერს გამოქვეყნდა კომისიის ვებ-გვერდზე, დამატებითი შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღების მიზნით.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა ე. იმედაძემ წარმოადგინა ინფორმაცია მობილური ქსელით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგების შესახებ. წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

საქართველოში მოქმედი მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ყველა ოპერატორი საკუთარ აბონენტებს მობილური ქსელით მომსახურების სამი ძირითადი სახის სერვისს სთავაზობს:

- მობილური ხმოვანი მომსახურება;
- მონაცემთა გადაცემის (ინტერნეტი) მომსახურება;
- მოკლე ტექსტური შეტყობინების „SMS“ მომსახურება.

მობილურ ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობის დინამიკა ქვეყანაში მზარდია. 2019 წლის მესამე კვარტალის მდგომარეობით მობილური მომსახურებით 5.5 მილიონი აბონენტი[1] სარგებლობდა.

მობილური მომსახურების აბონენტთა სიმკვრივის მაჩვენებელმა საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებაში 2019 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით შეადგინა 147%. აღნიშნული იმ ფაქტის მაჩვენებელია, რომ ზოგ მომხმარებელს აქვს რამდენიმე SIM ბარათი, რაც საშუალებას აძლევს აბონენტს აირჩიოს მისთვის საუკეთესო მომსახურების ვარიანტი.

გრაფიკი N1



წყარო: ა ტიპის აბონენტები M2M აბონენტების ჩათვლით ფორმა -2.2; მოსახლეობა-საქ. სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით, ყველაზე მეტი აბონენტი ჰყავდა შპს „მაგთიკომს“ (2.3 მლნ აბონენტი, ბაზრის წილის 41%), სს „სილქნეტს“ (შპს „ჯეოსელი“) - 1.8 მლნ. აბონენტი (ბაზრის წილის 33%), ხოლო შპს „ვიონი საქართველოს“ - 1.4 მლნ. აბონენტი (ბაზრის წილის 26%).

გრაფიკი N2



წყარო: ა ტიპის აბონენტები M2M აბონენტების ჩათვლით, ფორმა 2.2;

1 *აბონენტთა (SIM ბარათთა) რაოდენობა , რომელთაც შესაბამისი პერიოდის (ბოლო კვარტალი) განმავლობაში ერთხელ მაინც ისარგებლეს კომპანიის მომსახურებით (განახორციელეს ან მიიღეს ზარი, გააგზავნეს ან მიიღეს SMS/MMS, ისარგებლეს მონაცემთა გადაცემით ან სხვა დამატებითი მომსახურებით) ან დაერიცხათ საბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩაუთვლელად). ასევე განიხილებიან M2M აბონენტები.*

გრაფიკი N3



წყარო: ა ტიპის აბონენტები+M2M აბონენტები, ფორმა 2.2;

მობილური ქსელის ყველა მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით 2019 წლის 9 თვეში მობილური მომსახურების შემოსავლების 46% შპს „მაგთიკომის“ აბონენტებმა დააგენერირეს, სს „სილქნეტის“ (შპს „ჯეოსელის“) აბონენტებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენენ მობილური მომსახურების ბაზრის 36%-ს, ხოლო შპს „ვიონი საქართველოს“ აბონენტებიდან მიღებული შემოსავლები - 18% - ს. ბაზრის სხვა მონაწილეების მობილური ქსელის ყველა მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები და აბონენტების რაოდენობა მთლიანი მობილური ქსელის საცალო ბაზრის 0.1%-ზე ნაკლებია

ცხრილი N1

აბონენტების რაოდენობა	**Q4 2016**	**Q4 2017**	**Q4 2018**	**Q3 2019**
გლობალ სელ	826	409	297	304
ჯიმობაილ	12,554	1,975	3,603	-
სულ	**13,380**	**2,384**	**3,900**	**304**
წილი მთლიან აბონენტებში	**0.24%**	**0.04%**	**0.07%**	**0.01%**

წყარო: ა ტიპის აბონენტები+M2M აბონენტები, ფორმა 2.2;

შემოსავლები	**12თვე 2016**	**12 თვე 2017**	**12 თვე 2018**	**9 თვე 2019**
გლობალ სელ	300	197	38	1,520
ჯიმობაილ	91,097	136,719	226,397	107,975
სულ	**91,398**	**136,916**	**226,435**	**109,495**
წილი მთლიან შემოსავლებში	**0.02%**	**0.03%**	**0.05%**	**0.03%**

წყარო: საცალო შემოსავალი, ფორმა 2.1;

გრაფიკი N4



წყარო: საცალო შემოსავალი, ფორმა 2.1;

გრაფიკი N5



წყარო: საცალო შემოსავალი, ფორმა 2.1;

<u>მობილური ხმოვანი მომსახურების საბითუმო ბაზარი</u>

მობილური ხმოვანი მომსახურების საბითუმო ბაზარი რეგულირდება „მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2010 წლის 21

მაისის №240/9 გადაწყვეტილებით, კერძოდ, ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს: შპს „მაგთიკომს“, სს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“, 2019 წლის 1 იანვრიდან, დადგენილი აქვთ სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების მომსახურების სახეებზე ტარიფი, შემდეგი ოდენობით:

- მობილურ ქსელში სატელეფონო ზარის დასრულების მომსახურება - 0,75 თეთრი (გადასახადების გარეშე);
- მობილური ქსელიდან სატელეფონო ზარის წამოწყების მომსახურება - 1,44 თეთრი (გადასახადების გარეშე);

ამასთან ერთად, მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურების ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაკისრებული აქვთ შემდეგი სპეციფიკური ვალდებულებები:

- ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;

- დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;

- ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;

- დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება;

- სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

ზოგადი სურათი არსებული რეგულაციის პირობებში მობილური ხმოვანი მომსახურების საბითუმო ბაზარზე შემდეგია:

გრაფიკი N6



წყარო: ფორმა 5.3;

გრაფიკი N7



წყარო: ფორმა 5.3;

გრაფიკი N8



წყარო: ფორმა 2.19;

გრაფიკი N9



წყარო: ფორმა 2.19;

ცხრილი N2

ARPU[2]	2017				2018				2019		
	Q1 2017	Q2 2017	Q3 2017	Q4 2017	Q1 2018	Q2 2018	Q3 2018	Q4 2018	Q1 2019	Q2 2019	Q3 2019
მაგთიკომი	4.5	4.8	5.0	4.9	4.8	5.0	5.2	5.1	4.7	4.8	4.8
ვიონი საქართველო	2.9	3.0	2.9	2.4	3.0	3.4	3.3	3.1	2.9	3.0	2.8
სილქნეტი/ჯეო სელი	3.9	4.1	4.2	4.3	3.6	4.3	4.3	4.2	4.2	4.5	4.6
საშუალო	**3.9**	**4.1**	**4.2**	**4.0**	**3.9**	**4.4**	**4.4**	**4.3**	**4.1**	**4.2**	**4.2**

MOU[3]	2017				2018				2019		
	Q1 2017	Q2 2017	Q3 2017	Q4 2017	Q1 2018	Q2 2018	Q3 2018	Q4 2018	Q1 2019	Q2 2019	Q3 2019
მაგთიკომი	136.6	143.2	147.9	165.7	155.1	161.9	163.6	156.4	144.6	148.1	145.7
ვიონი საქართველო	111.5	119.0	117.3	123.5	134.2	155.4	154.9	158.1	156.9	161.2	157.7
სილქნეტი/ჯეო სელი	135.8	140.2	140.7	153.8	132.3	139.4	143.6	137.8	142.6	153.6	157.0
საშუალო	**130.0**	**135.9**	**137.3**	**150.1**	**141.6**	**151.8**	**154.0**	**149.9**	**146.9**	**153.3**	**152.5**

წყარო: აბონენტების რაოდენობა ფორმა 2.2-დან; შემოსავალი და ტრაფიკი ფორმა 2.19;-დან

<u>მობილური ქსელით მონაცემთა გადაცემის მომსახურების საბითუმო ბაზარი</u>

საქართველოში მობილური ქსელით მონაცემთა გადაცემის (შემდგომში ინტერნეტ) მომსახურებას მობილური ქსელის ოპერატორები ახორციელებენ 2G, 3G და 4G ქსელების საშუალებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მობილური მომსახურების დაფარვის მასშტაბები ტერიტორიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, გამოსახულია გრაფიკზე.

2 ARPU: შესაბამის პერიოდში ხმოვანი მომსახურებიდან მიღებული საშუალო შემოსავალი გაყოფილი იგივე პერიოდის აბონენტების (ა ტიპის აბონენტი + M2M აბონენტები) საშუალო რაოდენობაზე.

3 MOU: შესაბამის პერიოდში ხმოვანი მომსახურების საშუალო ტრაფიკი გაყოფილი იგივე პერიოდის აბონენტების (ა ტიპის აბონენტი + M2M აბონენტები) საშუალო რაოდენობაზე.

გრაფიკი N10



მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის 4G ტექნოლოგიით მოხმარებული ინტერნეტ ტრაფიკის რაოდენობაზე. 2019 წლის სექტემბრის თვეში განხორციელებული ინტერნეტ ტრაფიკის 77% მოდის 4G ტექნოლოგიაზე, ტრაფიკის 20% არის განხორციელებული 3G ტექნოლოგიით და მხოლოდ 3%- უკავია 2G ტექნოლოგიის ტრაფიკს.

გრაფიკი N11



წყარო: ფორმა 2.16;

ვინაიდან ქვეყანაში მობილურ ინტერნეტ მომსახურებაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად იზრდება, ბაზარზე კონკურენტული ფასების ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სრულფასოვანი მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების ოდენობის გაზრდას. ცნობილია, რომ აღნიშნულ მომსახურებას საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ახორციელებენ შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“ და შპს „ვიონი საქართველო“. შესაბამისად, ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების

მიზნით, „მობილური ქსელით საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“, კომისიის 2019 წლის 30 აპრილის №267/9 და „მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების და მოკლე ტექსტური შეტყობინებების („SMS“) ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2019 წლის 30 აპრილის №268/9 გადაწყვეტილებების მიღებისას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, MVNO-ს მიერ მობილური მომსახურების ბაზარზე შესვლის ხელშეწყობისთვის, მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარება და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებისათვის MVNO-ს ქსელთან დაშვების მიზნით სპეციფიკური ვალდებულებების განსაზღვრა.

მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრა

აღნიშნული საკითხის შეფასება ეფუძნებოდა აბონენტების მიერ სხვადასხვა სახის მობილური მომსახურებების მოხმარებისა და მობილური ოპერატორის მიერ მომსახურებების მიწოდების სტრუქტურას. ამასთან, გათვალისწინებულ იქნა მობილური ქსელით ინტერნეტის მომსახურების სხვა მობილურ მომსახურებასთან შედარებით უპირატესი პოზიცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მობილური მომსახურებების შეთავაზებებში ინტერნეტი ჰომოგენური პაკეტების ფარგლებში უფრო მეტი მოცულობით იყიდება ვიდრე სხვა შეთავაზებებში.

გრაფიკი N12



წყარო: ფორმა 2.19;

მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა მობილური ქსელით ინტერნეტის მომსახურებაზე დღითიდღე იზრდება, რაც მიუთითებს საბოლოო მომხმარებლებისათვის ინტერნეტ მომსახურების მზარდ

უპირატესობაზე, საცალო ტარიფების მნიშვნელოვანი კლება ბაზარზე არ შეინიშნება. ამასთან, გაზრდილია მომხმარებლების მიერ მობილური ქსელით ინტერნეტის მოხმარების მოცულობა. მობილური ხმოვანი და მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურებების ტარიფებზე „SSNIP“ ტესტის გამოყენების შემთხვევაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მობილურ ხმოვან მომსახურებაზე ფასების ზრდის შემთხვევაში აბონენტები ხმოვანი მომსახურებიდან მნიშვნელოვანი მოცულობით არ გადავლენ მობილური ქსელით ინტერნეტის მოხმარებაზე (სხვადასხვა „OTT” აპლიკაციების გამოყენებით) და პირიქით, მობილური ქსელით ინტერნეტის მომხმარებლები ფასების ზრდის შემთხვევაში არ გადავლენ მობილურ ხმოვან მომსახურებაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურება მობილური ხმოვანი მომსახურებების შემავსებელია, ვიდრე ჩანაცვლებადი. შესაბამისად, დღეისათვის მომხმარებლების უმეტესი ნაწილი ამ მომსახურებებს ურთიერთჩანაცვლებად მომსახურებად არ მიიჩნევენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების საბითუმო ბაზარი სატელეკომუნიკაციო ბაზრის ცალკე სეგმენტს წარმოადგენს.

მომსახურების გეოგრაფიული საზღვრების დადგენა

შპს „მაგთიკომის”, სს „სილქნეტის“ და შპს „ვიონი საქართველოს“ სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიები მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას, მათ ავტორიზაცია გავლილი აქვთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მომსახურების მისაწოდებლად. შპს „მაგთიკომი”, სს „სილქნეტი“ და შპს „ვიონი საქართველო“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მომსახურებას აწვდიან ერთგვაროვანი პირობებით. შესაბამისად, მობილური ქსელით საბითუმო ინტერნეტის მომსახურების მიწოდების ბაზრის შესაბამისი სეგმენტისთვის გეოგრაფიულ საზღვრებად მიჩნეული უნდა იქნას საქართველოს მთელი ტერიტორია.

სამი კრიტერიუმის ტესტი

იმისათვის, რომ განსაზღვრულიყო, ექვემდებარება თუ არა მობილური ქსელით მონაცემთა გადაცემის მომსახურების საბითუმო ბაზარის შესაბამისი სეგმენტი წინასწარ რეგულირებას, ჩატარებული იქნა სამი კრიტერიუმის ტესტი. ტესტის მიხედვით შეფასებული სამივე კრიტერიუმის (იხ. ა, ბ, გ პუნქტები) ერთდროულად დაკმაყოფილების შემთხვევაში ბაზრის შესაბამისი სეგმენტი წინასწარ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს.

<u>ა) ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შესვლის სტრუქტურული ან/და სამართლებრივი ბარიერების შეფასება</u>

ა.ა) მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შესვლის დამაბრკოლებელი გარემოებები შეფასდა მომავალზე ორიენტირებული პრინციპების გათვალისწინებით. ანალიზის ჩატარებისას არ იქნა გათვალისწინებული ისეთი დროებითი დაბრკოლებები, რომლებიც დროის მოკლე მონაკვეთში დაძლევადია.

ა.ბ) მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შესვლის სტრუქტურული ბარიერი არსებობს, რადგან ბაზარზე არსებული სამი მობილური ქსელის მახასიათებლები და ტექნოლოგია, რაც განაპირობებს მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოთხოვნის დონეს ისეთია, რომ ის ბაზარზე ავტორიზებულ პირებს შორის ასიმეტრიულ პირობებს ქმნის.

ა.გ) მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი მაღალი სტრუქტურული ბარიერებით ხასიათდება, რადგან ამ მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირ(ებ)ი, მომსახურების მიწოდებაზე გაწეული დანახარჯების თვალსაზრისით, სხვებთან შედარებით აბსოლუტურ უპირატესობას ფლობენ, რომელიც გამოწვეულია მასშტაბის და/ან მომსახურების სახეების მრავალფეროვნებით განპირობებული ეკონომიით.

ა.დ) მობილური მომსახურებისათვის სიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიას და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებულ ნებართვებს და კაპიტალურ დანახარჯებს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შესვლის თვალსაზრისით, პირდაპირი ზეგავლენა აქვთ ბაზარზე ახალ შემომსვლელებისათვის.

<u>ბ) ბაზარზე კონკურენციის პოტენციური ტენდენციების შეფასება</u>

მობილური მომსახურებების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ეფექტიანი კონკურენციისადმი მიდრეკილება დადგინდა შემდეგი კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე:

საბაზრო წილები - ავტორიზებული პირების საბაზრო ხვედრითი წილები ბაზრის ეფექტიანი კონკურენციისადმი მიდრეკილების პირველადი მაჩვენებლებია. საბაზრო ხვედრითი წილები მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლების მიხედვით განისაზღვრა. დროის გარკვეულ მონაკვეთში მაღალი საბაზრო წილის ფლობა ავტორიზებული პირის დომინანტობაზე მიანიშნებს, ხოლო საბაზრო წილების შემცირება ბაზარზე ახალი ავტორიზებული პირის შესვლის ან არსებული ავტორიზებული პირების ბაზარზე გაფართოების მანიშნებელია.

გრაფიკი N13



წყარო: პერიოდის ბოლო კვარტლის აბონენტების რაოდენობა ფორმა 2.2-დან;

გრაფიკი N14



წყარო: ფორმა 2.19;

გრაფიკი N15



წყარო: ფორმა 2.19;

ზემოთ მოცემული გრაფიკების თანახმად, ინტერნეტ აბონენტების რაოდენობის, ინტერნეტ აბონენტებიდან მიღებული შემოსავლებისა და მობილური ქსელით ინტერნეტ ტრაფიკის გენერირების მაჩვენებლებით ბაზარზე მოქმედი ავტორიზებულ პირების მიერ დაკავებული ბაზრის წილები განსხვავებულია.

კონცენტრაციის დონე

კონცენტრაციის საერთო მაჩვენებელი მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების ბაზარის შესაბამისი სეგმენტის კონკურენციის განმსაზღვრელია. მობილური მომსახურებების ბაზარზე კონცენტრაციის განსაზღვრის მიზნებისათვის ე.წ. "ჰერფინდალ-ჰირშმანის" ინდექსი (HHI) იქნა გამოყენებული. "ჰერფინდალ-ჰირშმანის" ინდექსის (HHI) რაოდენობრივი მნიშვნელობა გამოიანგარიშება ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ყველა მოქმედი ავტორიზებული პირების მიერ დაკავებული ფარდობითი წილების (პროცენტულ ერთეულებში) კვადრატების ჯამის სახით. მისი მნიშვნელობა შეიძლება იცვლებოდეს: 1-დან – საკმარისად სრულყოფილი კონკურენციის და ბაზარზე მონაწილეთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში, 10 000-მდე – აბსოლუტურად კონცენტრირებულ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მიმწოდებლის მხარეს ერთი ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შემთხვევაში. შესაძლებელია ბაზრის შესაბამის სეგმენტის შემდეგი ტიპების იდენტიფიცირება:

ა) დაბალკონცენტრირებული ბაზრის სეგმენტი, როდესაც HHI ინდექსის გაანგარიშებული რიცხვითი მნიშვნელობა არ აღემატება 1000-ს.

ბ) ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის სეგმენტი, როდესაც HHI ინდექსის გაანგარიშებული რიცხვითი მნიშვნელობა მოქცეულია 1000-დან და 2500-მდე საზღვრებში.

გ) მაღალკონცენტრირებული ბაზრის სეგმენტი, როდესაც HHI ინდექსის გაანგარიშებული რიცხვითი მნიშვნელობა 2500 ერთეულს აჭარბებს.

ცხრილი N3

HHI	Q4 2017	Q4 2018	Q3 2019
ინტერნეტის აბონენტების მიხედვით	**3,404**	**3,382**	**3,358**

HHI	12 თვე 2017	12 თვე 2018	9 თვე 2019
ინტერნეტის შემოსავლების მიხედვით	**3,940**	**3,962**	**3,594**

ცხრილიდან ჩანს, რომ მობილური ქსელით მონაცემთა გადაცემის მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი მაღალ კონცენტრირებულია და კონკურენცია მნიშვნელოვნად შეზღუდულია.

მომსახურებების სახეების დივერსიფიცირება (კომბინირებული მომსახურებები) - ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების შპს „მაგთიკომის" და სს „სილქნეტის" მიერ მომხმარებლებისათვის შეთავაზებული ფიქსირებული და მობილური ქსელების კონვერგირებული მომსახურების სახეები (სამმაგი და ოთხმაგი შეთავაზებები) როგორც არსებული, ასევე, პოტენციური კონკურენტი ავტორიზებული პირისათვის ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გაფართოების ბარიერს წარმოადგენს.

<u>**გ) „კონკურენციის შესახებ" კანონის მოქმედების საკმარისობის შეფასება**</u>

აღნიშნული კრიტერიუმის ანალიზისას შეფასდა, უზრუნველყოფს თუ არა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების დარგში, კერძოდ მობილური ქსელით მონაცემთა გადაცემის მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის განვითარებას. ასევე შეფასდა, უზრუნველყოფს თუ არა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების დარგის ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე პოტენციურად შესაძლო ანტიკონკურენტულ ქმედებებზე რეაგირებას. აღნიშნული კრიტერიუმის შესწავლისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი ფაქტორები:

გ.ა) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს შპს „მაგთიკომს“, სს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“ გააჩნიათ ბაზარზე შესვლის დაბრკოლებების ხელოვნურად შექმნის და/ან გაზრდის განზრახვა და შესაძლებლობაც, შესაბამისად, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის წინასწარი რეგულირება უფრო ეფექტიანია ვიდრე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქმედებები. ოპერატორების ქცევაზე, რომელიც აუარესებს კონკურენტულ გარემოს, რეაგირების დაგვიანებამ შესაძლოა გამოიწვიოს ბაზრისთვის შეუქცევადი ეფეტი, რაც გულისხმობს რომ *ex post* რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს კონკურენტული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას. აღნიშნული ხაზს უსვამს *ex ante* რეგულირების უპირატესობას.

გ.ბ) გასული პერიოდის განმავლობაში ბაზრის შესაბამის საცალო სეგმენტზე ოპერატორების მიერ განხორციელებულმა სატარიფო პოლიტიკამ განაპირობა, რეგულირების მიზნით კომისიის არა ერთი ჩარევა (ბოლო კვლევები და გადაწყვეტილებები, რომელიც მითითებულის ამ დოკუმენტში). კონკურენციის უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა შესაბამის ავტორიზებულ პირებზე სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება, შესაბამისად „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება ბაზრის რეგულირების მიზნებისათვის არ არის საკმარისი;

გ.დ) მობილურ ქსელით ინტერნეტ მომსახურებაზე დაწესებული ტარიფების, რაც გავლენას ახდენს მომხმარებლებზე, კონკურენტულ დონეზე შენარჩუნების მიზნით, წინასწარი რეგულირებით გათვალისწინებული ღონისძიებები უფრო ეფექტურია.

სამი კრიტერიუმის ტესტის შედეგები: ჩატარებული სამი კრიტერიუმის ტესტის თანახმად დადგინდა, რომ მობილური ინტერნეტ მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე სამივე კრიტერიუმი ერთდროულად არსებობს, შესაბამისად აღნიშნული ბაზრის სეგმენტი წინასწარ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს.

მობილური ქსელით მონაცემთა გადაცემის საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტის ანალიზი

ბაზრის ანალიზის მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტის შეფასება, წარმოდგენილია თუ არა ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ერთი ან ერთზე მეტი ავტორიზებული პირი (პირები), რომელსაც ინდივიდუალურად და/ან ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება გააჩნია, ანუ არის თუ არა ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული და განსაზღვრული ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ეფექტიანად კონკურენტუნარიანი.

ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობის ანალიზისას, შეფასებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- ავტორიზებული პირის საბაზრო წილი და მისი საერთო მოცულობა;
- რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა;
- ტექნოლოგიური უპირატესობა;
- მომხმარებლის ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არ არსებობა;
- კაპიტალთან და ფინანსურ რესურსებთან მარტივი ან პრივილეგირებული წვდომის შესაძლებლობა;
- დივერსიფიცირებული მომსახურების სახეები;
- მასშტაბის ეკონომია;
- მომსახურების სახეების მრავალფეროვნებით განპირობებული ეკონომია (მრავალფეროვნების ეკონომია);
- ვერტიკალური ინტეგრაცია;
- საცალო გაყიდვების განვითარებული ქსელი;
- პოტენციური კონკურენტების არ არსებობა;
- მომგებიანობა;
- ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის გაფართოებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერები.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამოყენებული იქნა მხოლოდ იმ კრიტერიუმის კომბინაცია, რომლებიც ყველაზე უფრო მიზანშეწონილია აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტული გარემოს შესაფასებლად.

ავტორიზებული პირის საბაზრო წილი და მისი საერთო მოცულობა - მობილური ინტერნეტ მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კომპანიების საერთო მოცულობის შეფასებისას, ბაზარზე მათ მიერ დაკავებული საბაზრო წილის შესახებ ინფორმაცია იქნა გამოყენებული. საბაზრო ხვედრითი წილი განსაზღვრული იქნა შესაბამისი მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლების და აბონენტების რაოდენობის მიხედვით.

შესაბამისად, საბაზრო წილის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას მობილური კომპანიების მიერ საკუთარი აბონენტებისათვის შესაბამისი მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლების და აბონენტების რაოდენობა. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას მომსახურების დაფარვის მოცულობა ქვეყნის მასშტაბით, ვინაიდან აღნიშნულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ვირტუალური ოპერატორის ქსელთან დაშვების თვალსაზრისით.

მობილურ ინტერნეტ მომსახურებას ყველა მობილური ქსელის ოპერატორი საქართველოში ახორციელებს 3G და 4G ქსელების საშუალებით.

2019 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით, მობილური ქსელით ინტერნეტის 3.3 მილიონი აბონენტი სარგებლობდა, რაც მთლიანი მობილური ქსელის აბონენტების 60%-ია. მობილური ქსელით ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2019 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, მობილური ქსელით ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 2018 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 12%-ით არის გაზრდილი. მობილური ქსელით ინტერნეტის მომხმარებელთა სიმკვრივის მაჩვენებელი მობილური ქსელის აბონენტებთან მიმართებით 2018 წლის მეოთხე კვარტალში შეადგენდა 54%-ს, ხოლო 2019 წლის მესამე კვარტალში 60%-ს.

გრაფიკი N16



წყარო: პერიოდის ბოლო კვარტლის აბონენტების რაოდენობა ფორმა 2.2-დან;

2019 წლის მესამე კვარტალის მდგომარეობით, მობილური ქსელით ინტერნეტის ყველაზე მეტი აბონენტი ყავდა სს „სილქნეტს (ჯეოსელს)“ (1.2 მლნ აბონენტი; ბაზრის წილის - 37%). შპს „მაგთიკომს“ ამავე პერიოდში ყავდა 1.1 მლნ. მობილური ქსელით ინტერნეტის აბონენტი (ბაზრის წილის 33%). ხოლო შპს „ვიონი საქართველოს“ – 1.0 მლნ. აბონენტი (ბაზრის წილის 30%).

გრაფიკი N17



წყარო: პერიოდის ბოლო კვარტლის აბონენტების რაოდენობა ფორმა 2.2-დან;

გრაფიკი N18



წყარო: პერიოდის ბოლო კვარტლის აბონენტების რაოდენობა ფორმა 2.2-დან;

მობილური აბონენტების ჯამურ რაოდენობაში მობილური ქსელით ინტერნეტის მომხმარებელი აბონენტების ხვედრითი წილი კომპანიების ჭრილში 2019 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით შემდეგია: შპს „ვიონი საქართველო“ - 71%; სს „სილქნეტი (ჯეოსელი)“ - 68%; შპს „მაგთიკომი“ 47%. 2018 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, შესაბამისად: შპს „ვიონი საქართველო“ - 66%; სს „სილქნეტი (ჯეოსელი)“ - 56%; შპს „მაგთიკომი“ - 45%.

გრაფიკი N19



წყარო: ფორმა 2.2

მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურებისას აბონენტებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით 2019 წლის 9 თვის მონაცემებით შპს „მაგთიკომზე“ მოდის ბაზარზე აღნიშნული მომსახურებიდან მიღებული მთელი შემოსავლების 44%, სს „სილქნეტზე (ჯეოსელი)“ - 35%, ხოლო შპს „ვიონი საქართველოზე“ - 21%.

გრაფიკი N20



წყარო: ფორმა 2.19;

ვინაიდან, 2019 წელი დასრულებული არაა და მონაცემებიც მხოლოდ სექტემბრის თვის ჩათვლით არის ხელმისაწვდომი, გრაფიკზე შემოსავლების მოცულობა შედარებულია გასული წლების 9 თვის ჯამურ მაჩვენებლებთან, ასევე 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან. არსებული მონაცემები ცხადყოფს აბონენტების მიერ ინტერნეტის მოხმარების ზრდის ტენდენციას.

გრაფიკი N21



წყარო: იანვარი 2017-სექტემბერი 2019 პერიოდი ფორმა 2.19-დან;

მობილური ქსელით ინტერნეტის აბონენტების მიერ მოხმარებული ინტერნეტის მოცულობის მიხედვით 2019 წლის 9 თვის მონაცემებით შპს „მაგთიკომში“ და შპს „ვიონი საქართველოში“ მოხმარებული ინტერნეტ ტრაფიკის 38-38% დაგენერირდა, ხოლო სს „სილქნეტში (ჯეოსელი)“ - 24%.

გრაფიკი N22



წყარო: ფორმა 2.19;

ინტერნეტის მოხმარება ბოლო წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. პროგნოზის მიხედვით 2019 წლის მობილური ქსელით ინტერნეტის აბონენტების მიერ მოხმარებული ინტერნეტი 2018 წელთან შედარებით 30%-ით გაიზრდება და დაახლოებით 85 ათას ტერაბაიტს შეადგენს.

გრაფიკი N23



წყარო: იანვარი 2017-სექტემბერი 2019 პერიოდი ფორმა 2.19-დან;

გრაფიკი N24



წყარო: ფორმა 2.19;

გრაფიკი N25



წყარო: ფორმა 2.19;

2019 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით ერთი აბონენტის მიერ მოხმარებული ინტერნეტ მომსახურების ტრაფიკი თვეში საშუალოდ 2.7 GB-ია, რაც 41%-ით მეტია 2018 წელის მესამე კვარტალთან შედარებით. კომპანიების ჭრილში ყველაზე მეტი GB-ების მოხმარება ერთ აბონენტზე შპს „მაგთიკომის და შპს „ვიონი საქართველოს“ აბონენტებზე მოდის (3.2 GB) . ხოლო სს „სილქნეტი/ჯეოსელის“ აბონენტი - თვეში საშუალოდ 2.0 GB-ს მოიხმარს.

ცხრილი N3

ARPU[4]	2017				2018				2019		
	Q1 2017	Q2 2017	Q3 2017	Q4 2017	Q1 2018	Q2 2018	Q3 2018	Q4 2018	Q1 2019	Q2 2019	Q3 2019
მაგთიკომი	3.2	3.4	4.0	3.8	4.2	4.6	5.4	5.0	4.9	5.0	6.0
ვიონი საქართველო	1.2	1.6	1.8	2.0	1.7	1.2	1.9	2.5	2.4	2.8	3.1
სილქნეტი/ჯეო სელი	2.3	2.4	2.4	3.7	3.3	3.7	4.3	4.0	3.3	3.5	4.0
საშუალო	**2.4**	**2.6**	**2.8**	**3.3**	**3.3**	**3.3**	**4.0**	**3.9**	**3.6**	**3.8**	**4.3**

წყარო: აბონენტების რაოდენობა ფორმა 2,2-დან; შემოსავალი და მოხმარებული GB-ის რაოდენობა ფორმა 2.19-დან;

GB Usage per Sub[5]	2017				2018				2019		
	Q1 2017	Q2 2017	Q3 2017	Q4 2017	Q1 2018	Q2 2018	Q3 2018	Q4 2018	Q1 2019	Q2 2019	Q3 2019
მაგთიკომი	2.4	2.5	3.0	3.0	2.8	2.2	2.5	2.3	2.3	2.5	3.2
ვიონი საქართველო	2.0	1.5	1.9	1.9	2.2	1.7	2.1	2.3	2.6	2.8	3.2
სილქნეტი/ჯეოსელი	1.0	1.2	1.3	1.7	1.4	1.1	1.3	1.1	1.1	1.2	2.0
საშუალო	**1.8**	**1.7**	**2.0**	**2.2**	**2.1**	**1.6**	**1.9**	**1.9**	**1.9**	**2.1**	**2.7**

რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა - შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“ და შპს „ვიონი საქართველო“ მობილური ქსელით მომსახურების ბაზარზე დიდი ხნის განმავლობაში საქმიანობენ. შექმნილი ინფრასტრუქტურა ბაზარზე შემოსვლის მსურველ კომპანიასთან შედარებით მათ უპერატესობას ანიჭებს, ვინაიდან ახალი კომპანიისათვის ამგვარი ინფრასტრუქტურის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, ან შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში, ამიტომ შპს „მაგთიკომს“, სს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“ მობილური ქსელის ფლობის თვალსაზრისით საბაზრო უპერატესობას ანიჭებს.

მსყიდველობითი ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არ არსებობა - მობილური მომსახურების ბაზარზე მომსახურების არსებულ ან პოტენციურ მომხმარებლებს არ გააჩნიათ მომსახურების შეძენის ფასზე ან მომსახურების სხვა პირობების ცვლილებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. არც ერთი მობილური ოპერატორი, ვირტუალური ქსელის ოპერატორისთვის მობილური საბითუმო მომსახურების მიწოდებას არ ახორციელებს. ამასთან, საცალო ბაზარზე მომსახურების მიმღებების/აბონენტების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მათ მიერ მომსახურების შეძენის მოცულობიდან გამომდინარე, არც ერთ აბონენტს არ გააჩნია ისეთი ძალაუფლება, რომ მიმწოდებელს შეაცვლევინოს მომსახურების მიწოდების პირობები მათ შორის, ტარიფები. შესაბამისად, მობილური ქსელით ინტერნეტის ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოსაყალიბებლად, მიზანშეწონილია

---

4 ARPU: შესაბამის პერიოდში ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული საშუალო შემოსავალი გაყოფილი იგივე პერიოდის აბონენტების საშუალო რაოდენობაზე .

5 GB per Sub: შესაბამის პერიოდში ინტერნეტის საშუალო მოხმარება (ტრაფიკი) გაყოფილი იგივე პერიოდის აბონენტბეის საშუალო რაოდენობაზე.

მობილური ქსელის ვირტუალური ოპერატორის (MVNO) მიერ მობილური მომსახურებების ბაზარზე შესვლის ხელშეწყობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომხმარებლების ძალაუფლების ფაქტორის ზრდას.

მასშტაბის ეკონომია - შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“ და შპს „ვიონი საქართველო“ მნიშვნელოვანი მოცულობის მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, მათ აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ მასშტაბის ეკონომიას, რომელიც განპირობებულია ავტორიზებული პირის მთლიანი დანახარჯების დიდი მოცულობით მიწოდებული მომსახურების ერთეულებს შორის გადანაწილებით;

ვერტიკალური ინტეგრაცია - მობილური ქსელის ოპერატორები, სს „სილქნეტი“ და შპს „მაგთიკომი“ ვერტიკალურად ინტეგრირებული ავტორიზებული პირები არიან. შესაბამისად, მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ აბონენტებისთვის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა, შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის პროცესს და მყისიერი რეაგირება მოახდინონ ბაზრის პოტენციურ ცვლილებებზე.

განვითარებული სადისტრიბუციო გაყიდვების ქსელი - მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ბაზარზე მოქმედ სამივე მობილურ კომპანიას ქვეყნის მასშტაბით გააჩნიათ საცალო გაყიდვებისა და მომსახურების საკმაოდ განვითარებული ქსელი, რომლის შექმნასაც საკმაოდ მნიშვნელოვანი რესურსი და დრო სჭირდება და რაც ასევე, კომპანიების ზრდისა და განვითარების შემზღუდავ ბარიერად შეიძლება ჩაითვალოს.

ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის გაფართოებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერები - რადგან მობილური მომსახურების ბაზარი საქართველოში გაჯერებულია, ამიტომ ბაზრის ამ სეგმენტზე მოქმედი კომპანიების ზრდის/გაფართოების საჭირო შესაძლებლობები შეზღუდულია, რაც უარყოფითად მოქმედებს ბაზარზე არსებულ კონკურენტულ მდგომარეობაზე.

შესაბამისად, მობილური ქსელით ინტერნეტის ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობისთვის მიზანშეწონილია მობილური ქსელის ვირტუალური ოპერატორის (MVNO) მიერ მობილური მომსახურებების ბაზარზე შესვლის ხელშეწყობა. შესაბამისად მობილურ ქსელის საბითუმო მომსახურებაზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს უნდა დაეკისროს მობილური ქსელის ვირტუალური ოპერატორის ქსელთან არადისკრიმინაციულად და დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფით დაშვების სპეციფიკური ვალდებულებები.

მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების ანალიზის შედეგები

ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე ავტორიზებული პირის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობის განსაზღვრის ანალიზისას, კომისიის მიერ შეფასებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები, რომლებიც საცალო მომსახურებისთვის ყველაზე უფრო რელევანტურია:

- ავტორიზებული პირის საბაზრო წილი და მისი საერთო მოცულობა;
- რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა;
- მომხმარებლის ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არ არსებობა;
- ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის გაფართოებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერები;
- ვერტიკალური ინტეგრაცია;
- მასშტაბის ეკონომია;

ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული საბაზრო ხვერდრითი წილის განსაზღვისთვის გაანგარიშებაში გამოყენებული იქნა, ბოლო სამი წლის ამ მომსახურების მიწოდებით შემოსავლების, აბონენტთა რაოდენობის, ტრაფიკისა და დაფარვის ფართობის შესახებ მონაცემები.

ავტორიზებული პირების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ცნობის თაობაზე დასკვნას ამყარებს ის ფაქტი, რომ ამ კომპანიებს გააჩნიათ მნიშვნელოვნად დიდი ქსელი, რომელიც არსებულ ბაზარზე შესვლისა და საბაზრო პოზიციის შენარჩუნების აუცილებელი აქტივია.

შპს „მაგთიკომს“, სს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“ მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გააჩნიათ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მობილურ ინტერნეტ მომსახურებაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად იზრდება, კონკურენციის გამძაფრება და საცალო ტარიფების მნიშვნელოვანი კლება სატელეკომუნიკაციო ბაზრის აღნიშნულ სეგმენტზე ნაკლებად შეინიშნება. შესაბამისად, ბაზარზე კონკურენციის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) მიერ მობილური მომსახურების ბაზარზე შესვლის ხელშეწყობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანისაბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, შპს „მაგთიკომს“, სს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“ უნდა დაეკისიროთ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) ქსელთან დაშვების უზრუნველყოფის ვალდებულება, შემდეგი სპციფიკური ვალდებულებების გათვალისწინებით:

- ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;
- დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
- ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
- დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება;
- სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

<u>მოკლე ტექსტური შეტყობინებები - „SMS“</u>

საქართველოში მობილურ მოკლე ტექსტურ შეტყობინების (ე.წ „SMS“) მომსახურებას ყველა მობილური ქსელის ოპერატორი უზრუნველყოფს 2G, 3G და 4G ქსელების საშუალებით.

2017 და 2019 წლების მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ავტორიზებული პირების მიერ მობილური მოკლე ტექსტური მომსახურება შერეულ (მრავალმაგი შეთავაზება) და ჰომოგენურ პაკეტებში უფრო დიდი მოცულობითაა რეალიზებული ვიდრე სტანდარტულ მომსახურების მიწოდებისას.

გრაფიკი N26



წყარო: ფორმა 2.19;

მობილური მოკლე ტექსტური შეტყობინების „SMS“ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე 2017 -2019 წლების განმავლობაში მომხმარებელთა რაოდენობის კლების ტენდენცია ფიქსირდება. ამასთან ერთად, მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების საერთო მოცულობა ყველა კომპანიისათვის წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად მცირდება. მსოფლიოში და საქართველოში არსებული ტენდენციების თანახმად, მომხმარებლები უფრო მეტად უპირატესობას ანიჭებენ მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების სხვადასხვა უფასო OTT აპლიკაციებით სარგებლობას.

ავტორიზებული პირის საბაზრო წილი და მისი საერთო მოცულობა - მობილური SMS მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კომპანიების საერთო მოცულობის შეფასებისას, ბაზარზე მათ მიერ დაკავებული საბაზრო წილის შესახებ ინფორმაცია იქნა გამოიყენებული. საბაზრო ხვედრითი წილი განსაზღვრული იქნა შესაბამისი მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლების და აბონენტების რაოდენობის მიხედვით.

გრაფიკი N27



წყარო: ფორმა 2.2;

2019 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით, მობილური მოკლე ტექსტური შეტყობინებით ყველაზე მეტად შპს „მაგთიკომის“ აბონენტები სარგებლობდნენ (39%). სს „სილქნეტის (ჯეოსელი)“ აბონენტებს ბაზრის 34% ეჭირათ, ხოლო შპს „ვიონი საქართველოს“ აბონენტებს -27%.

გრაფიკი N28

აბონენტების რაოდენობა (ათასებში) კომპანიების ჭრილში



წყარო: ფორმა 2.2;

გრაფიკი N29

SMS აბონენტების განაწილება კომპანიების ჭრილში



წყარო: ფორმა 2.2;

მოკლე ტექსტური შეტყობინებიდან (SMS) მიღებული შემოსავლების მიხედვით 2019 წლის 9 თვის მონაცემებით სს“ სილქნეტის“ წილი შეადგენდა ბაზარზე აღნიშნული მომსახურებიდან მიღებული მთელი შემოსავლების 49%-ს. შპს „მაგთიკომის“ წილი - 42%-ს, ხოლო შპს „ვიონი საქართველოს“ წილი -10%-ს.

გრაფიკი N30



წყარო: ფორმა 2.19;

გრაფიკი N31



წყარო: ფორმა 2.19-დან;

გრაფიკი N32



წყარო: ფორმა 2.19

ცხრილი N4

ARPU[6]	2017				2018				2019		
	Q1 2017	Q2 2017	Q3 2017	Q4 2017	Q1 2018	Q2 2018	Q3 2018	Q4 2018	Q1 2019	Q2 2019	Q3 2019
მაგთიკომი	0.8	0.8	0.7	0.7	0.7	0.7	0.7	0.7	0.7	0.7	0.7
ვიონი საქართველო	0.4	0.3	0.3	0.2	0.4	0.4	0.3	0.2	0.2	0.2	0.2
სილქნეტი/ჯეოსელი	0.6	0.6	0.6	0.4	0.3	0.4	0.3	0.3	0.7	0.8	1.1
საშუალო	**0.6**	**0.6**	**0.6**	**0.5**	**0.5**	**0.5**	**0.4**	**0.4**	**0.5**	**0.6**	**0.7**

SMS per Sub.[7]	2017				2018				2019		
	Q1 2017	Q2 2017	Q3 2017	Q4 2017	Q1 2018	Q2 2018	Q3 2018	Q4 2018	Q1 2019	Q2 2019	Q3 2019
მაგთიკომი	96.8	92.2	90.4	101.3	96.1	93.9	91.0	89.2	82.6	84.0	82.0
ვიონი საქართველო	86.4	81.1	65.2	53.0	98.2	89.1	58.4	66.5	65.7	69.3	69.8
სილქნეტი/ჯეოსელი	111.4	106.6	101.9	79.6	68.8	80.3	64.4	63.5	93.9	86.0	87.2
საშუალო	**99.7**	**94.8**	**88.5**	**81.4**	**83.6**	**86.8**	**71.7**	**73.0**	**81.9**	**80.8**	**80.5**

წყარო: აბონენტების რაოდენობა ფორმა 2.2-დან; შემოსავალი და რაოდენობა ფორმა 2.19-დან;

6 ARPU: შესაბამის პერიოდში SMS მომსახურეობიდან მიღებული საშუალო შემოსავალი გაყოფილი იგივე პერიოდის აბონენტების საშუალო რაოდენობაზე.
7 SMS per Sub: შესაბამის პერიოდში SMS -ების საშუალო რაოდენობა გაყოფილი იგივე პერიოდის აბონენტბეის საშუალო რაოდენობაზე.

„მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების და მოკლე ტექსტური შეტყობინებების („ SMS“) ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2019 წლის 30 აპრილის №268/9 გადაწყვეტილების მიღებისას აღინიშნა, რომ ვინაიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების მომხმარებლების რაოდენობა კლებადია ბაზარზე, კლებადია ერთი აბონენტიდან მიღებული შემოსავალიც და ამასთან ერთად ასევე მცირდება ერთი აბონენტის მიერ გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებების რაოდენობაც, არ არის მიზანშეწონილი ამ მომსახურების ბაზრის შესაბამისი რეგულირება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) მობილური ქსელით მოკლე ტექსტური შეტყობინებების („SMS“) ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ იქნას გამოვლენილი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირ(ებ)ი და ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ჩაითვალა კონკურენტულად.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის გადაწყვეტილებებში, მობილური სერვისების ერთ ან რამდენიმე ბაზრის შესაბამის სეგმენტად განსაზღვრისას კომისიის მსჯელობა ეფუძნებოდა ურთიერთშენაცვლებადი მომსახურებების სახეების და გეოგრაფიული საზღვრების დადგენას. აღნიშნული საკითხის შეფასებისას გაითვალისწინებოდა აბონენტების მიერ სხვადასხვა სახის მობილური მომსახურებების მოხმარების დანიშნულება და მობილური ოპერატორის მიერ მომსახურებების მიწოდების სტრუქტურა.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებლები მოკლე ტექსტურ შეტყობინების (ე.წ „SMS“) მომსახურებაზე უპირატესობას ანიჭებენ მობილური ქსელით ინტერნეტ მომსახურების სხვადასხვა უფასო „OTT“ აპლიკაციებით სარგებლობას მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოკლე ტექსტურ შეტყობინების (ე.წ „SMS“) მომსახურებას გააჩნია ტექნოლოგიური უპირატესობაც „OTT“ სერვისებთან შედარებით. კერძოდ, „OTT“ სერვისებით სარგებლობის საშუალება აქვთ მხოლოდ სმატფონების მქონე მომხმარებლებს, მოკლე ტექსტურ შეტყობინების (ე.წ „SMS“) გაგზავნა კი შესაძლებელია ნებისმიერი მობილური აბონენტისათვის, მიუხედავად იმისა, იყენებს თუ არა იგი სმარტფონს ან ინტერნეტს. ამიტომ მობილური მომსახურების სრულფასოვნად მიწოდებისათვის, აუცილებელია, რომ ოპერატორს შეეძლოს მოკლე ტექსტური შეტყობინების (ე.წ „SMS“) მომსახურების შეთავაზება. იმ შემთხვევაში, თუ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი (MVNO) მოკლებული იქნება ამ შესაძლებლობას, ის ვერ გაუწევს სრულფასოვან კონკურენციას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს.

შესაბამისად, ვინაიდან მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უნდა იქნას უზრუნველყოფილი მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) დაშვება და შესაბამისად, სამივე სახის მობილურ მომსახურებაზე (ხმოვანი, ინტერნეტი და SMS) წვდომა დაშვების მსურველი ოპერატორებისათვის სრულყოფილი სერვისის შეთავაზების მიზნით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირებმა: შპს „მაგთიკომმა“, სს „სილქნეტმა“ და შპს „ვიონი საქართველომ“, უნდა უზრუნველყონ მობილური ქსელით მოკლე ტექსტური შეტყობინებების („SMS“) საბითუმო მომსახურებაზე თავისუფალი წვდომა.

მობილური ქსელით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის თაობაზე წარმოდგენილ ინფორმაციის, ასევე წარმოდგენილი პროექტის გადაწყვეტილებითი ნაწილის თაობაზე თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები გამოთქვეს კომპანიის წარმომადგენლებმა, კერძოდ შპს „“მაგთიკომის“ წარმომადგენლებმა - ლ. გიორგაძემ, დ. ძიძიგურმა, ნ. დავითაშვილმა, სს „სილქნეტის“ წარმომადგენლება ლ. ბუჩუკურმა, თ. ტყეშელაშვილმა, შპს „ვიონი საქართველოს“ წარმომადგენელმა - ი. ესართიამ.

შპს „მაგთიკომმა“ და სს „სილქნეტმა“ წერილობით წარმოადგინეს თავიანთი პოზიცია გადაწყვეტილების პროექტის მიმართ, რომელიც წინასწარ იყო გამოქვეყნებული კომისიის ვებ გვერდზე (კომისიაში წერილების რეგისტრაციის №შ-19-6/4884 19.12. 2019; №შ-19-6/4888 19.121.2019).

შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენლების დ. ძიძიგურის, ნ. დავითაშვილის, ლ. გიორგაძის განმარტებით წარმოდგენილი სახით დოკუმენტის მიღება წინააღმდეგობაშია საქართველოს

კანონმდებლობასთან. კერძოდ: კანონის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად კომისიას ეკისრება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის რეგულირების უზრუნველყოფა, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის უზრუნველყოფა და ამ სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირთა დადგენა. შესაბამისად, კანონის ნორმებიდან გამომდინარე, კომისიამ უნდა შეისწავლოს ბაზრის სეგმენტი და განსაზღვროს, საჭიროებს თუ არა ის ჩარევას. კომისიის მიერ 2019 წელს ჩატარებულმა ბაზრის კვლევამ და მიღებულმა N267/9 და N268/9 გადაწყვეტილებებმა ცხადყვეს, ბაზრის შესაბამისი სეგმენტები კონკურენტულია, ამასთან ერთად, მობილური საკომუნიკაციო მომსახურების საცალო ფასები ევროპის ქვეყნებთან შედარებით დაბალია, HHI ინდექსი კლებადია და შესაბამისად გაუგებარია, რას ემსახურება რეგულაციის შემოღება მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვებასთან დაკავშირებით.

შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენლების განმარტებით, წარმოდგენილ გადაწყვეტილების პროექტში არ არის მოყვანილი კომისიის მოლოდინი და კვლევა, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ბაზარზე დადგენილმა ვალდებულებებმა, ასევე არ არის გაანალიზებული შესაძლო ნეგატიური შედეგები. კომპანიების მოსაზრებით, მიმდინარე ეტაპზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის მობილურ ბაზარზე გამოჩენა აუცილებლობას არ წარმოადგენს, ვინაიდან მობილურ ბაზარზე კონკურენცია ისედაც მაღალია, ხოლო მობილური მომსახურების ფასები თითქმის ყველაზე დაბალია ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ამავე დროს კომპანიების აზრით, საკომუნიკაციო ბაზარზე მობილური ვირტუალური ოპერატორის გამოჩენამ შესაძლოა გამოიწვიოს ისედაც დაბალი საცალო ფასების კიდევ უფრო შემცირება, რაც გამოიწვევს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მხრიდან დარგში ინვესტიციების განხორციელების შეჩერებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობის შეფერხებას.

სს „სილქნეტის“ წარმომადგენლებმა ლ. ბუჩუკურმა, თ.,ტყეშელაშვილმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტი არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, არ არის გამოკვლეული და შეფასებული მისი შედეგები, ამას ადასტურებს უშუალოდ პროექტის დეტალები, რომელშიც მითითებულია, რომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 10 დღის განმავლობაში ოპერატორებმა უნდა გამოაქვეყნონ მოწვევის ოფერტა. როგორც „სილქნეტის“, ასევე შპს „მაგთიკომის“ ქსელი აგებულია ისე, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვების პოტენციური შესაძლებლობა გათვალისწინებული არ ყოფილა და ქსელში უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი, პერსონალი არის დასატრენინგებელი. კომპანიებისთვის ჯერ არ არის ცნობილი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი, რისთვისაც საჭიროა პარტნიორებთან და ვენდორებთან მუშაობა. შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში ოფერტის გამოქვეყნება და 30 დღის განმავლობაში ხელშეკრულების გაფორმება შეუსრულებელი ვალდებულებაა. ასევე გაუგებარია, რას გულისხმობს ფორმულირება, რომ კომპანიებს მუდმივ მზადყოფნაში ჰქონდეს ქსელის 30%-იანი თავისუფალი რესურსი. მობილური ქსელი არის დინამიური, შესაბამისად დატვირთვა ქალაქების, რეგიონების და უბნების მიხედვით ცვალებადია. ვალდებულების წარმოდგენილი ფორმულირება აიძულებს კომპანიებს მუდმივ მზადყოფნაში ჰქონდეთ ქსელის 30%-იანი თავისუფალი რესურსი. თუ კომპანიას სრულად აქვთ ათვისებული თავისი ქსელი რომელიმე რეგიონში, ასეთი რესურსი მან უნდა შექმნას, რაც მილიონობით ლარის ხარჯთანაა დაკავშირებული.

შპს „ვიონი საქართველოს“ წარმომადგენელმა ი.ესართიამ, მიუთითა, რომ 2019 წლის 268/9 გადაწყვეტილებაში კომისიამ აღნიშნა რომ ბაზრის განვითარებისთვის უნდა დაენერგა საქართველოში მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვება და ეროვნული როუმინგი. მიმდინარე საკითხის ა/წ 5 დეკემბერს საჯარო განხილვისას წარმოდგენილი იყო კომისიის გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც შეიცავდა ორივე კომპონენტს, ხოლო გამოქვეყნებულ პროექტში დატოვებულია მხოლოდ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვების ნაწილი და მოითხოვა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

თ.ტყეშელაშვილმა აღნიშნა, რომ ევროპული პრაქტიკის შესაბამისად, პირველ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორთან ხელშეკრულების გაფორმებისთვის განსაზღვრულია 6 თვე,

მეორე შემთხვევაში - 4 თვე. ამის შემდეგ, ტექნიკური უზრუნველყოფისთვის დასაშვებია ვადა 4-დან 6 თვემდე. ხოლო რაც შეეხება ქსელის 30%-ის დარეზერვებას პოტენციური მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორისათვის, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე ევროპულ რეგულაციებთან.

კომისიის თავმჯდომარემ, კ. ბექაურმა სხდომაზე წარმოდგენილ მოსაზრებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება მიიღება მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. ვირტუალური ქსელის ოპერატორის ბაზარზე შემოსვლის შესახებ კომპანიებისათვის დაახლოებით 6 თვის წინ იყო ცნობილი. კომისიის მიზანია გაითვალისწინოს და დანერგოს ევროპული მარეგულირებლების საუკეთესო გამოცდილება ისე რომ მობილური ქსელით საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზარი არ საჭიროებდეს სატარიფო რეგულაციას. კომისიამ როგორც ცნობილია, ვირტუალური ქსელის ოპერატორის ქსელთან დაშვების პირობების განსაზღვრამდე, გააუქმა რეგულაცია საცალო ტარიფებზე, კერძოდ კომისიამ გააუქმა საცალო ხმოვან მომსახურებაზე 24 თეთრიანი ზღვრული ტარიფი, შესაბამისად, ოპერატორებმა აიღეს ვალდებულება, რომ საცალო ტარიფებს არ გააძვირებდნენ. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ჩამოყალიბებულიყო წინაპირობები, რათა ქსელის მფლობელ და ვირტუალურ ოპერატორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის თავისუფალი გარემო შექმნილიყო და კომისიის მხრიდან ჩარევის და რეგულაციის ნაკლები საჭიროება ყოფილიყო. შესაბამისად, ოპერატორებს მიეცემათ შესაძლებლობა თავისუფლად მოილაპარაკონ ქსელთან დაშვების პირობებზე. კომისიის მიზანია, მხარეებმა შეძლონ კომერციული შეთანხმების მიღწევა და ამ პროცესს შეუწყოს ხელი. კომისია მხოლოდ იმ შემთხვევაში განსაზღვრავს დაშვების პირობებს, თუ მხარეთა შორის ვერ შედგება შეთანხმება და კომისიაში შემოვა საჩივარი. რაც შეეხება 30%-იან რესურსს, კ.ბექაურმა განმარტა, რომ დაშვების მსურველ ვირტუალურ ოპერატორს ქსელის ოპერატორმა, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა გამოუყოს ქსელის დატვირთულობის რესურსის მაქსიმუმ 30%. ქსელის ოპერატორს არ აქვს ვალდებულება, რომ დაშვების მოთხოვნის არ არსებობის შემთხვევაში, მაინც ჰქონდეს თავისუფალი რესურსი 30%-ის ოდენობით.

ასევე, კომისიამ ქსელის თავისუფალ მოცულობასთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი: იმ შემთხვევაში თუ ვირტუალური ოპერატორი გააფართოვებს მოთხოვნას ქსელის მოცულობის დატვირთვაზე და შესაბამისად გაზრდის ქსელის ოპერატორისთვის შემოსავლების მოცულობას, ქსელის ოპერატორი ისევე უნდა მოიქცეს, როგორც მოიქცეოდა საკუთარი აბონენტების მიერ ქსელის დატვირთულობის გაზრდის შემთხვევაში. ქსელის თავისუფალი მოცულობა ოპერატორმა მოთხოვნის პროპორციულად, ეტაპობრივად უნდა უზრუნველყოს. კომისია არ ითხოვს ქსელის 30% თავისუფალი რესურსის ერთბაშად უზრუნველყოფას.

მაგთიკომის წარმომადგენელი ნ.ქავთარაძე დაინტერესდა როგორ იმოქმედებს 5G-ს განვითარებაზე ვირტუალური ოპერატორის შემოყვანა.

კ. ბექაურმა განმარტა, რომ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე ჩატარებული კვლევები მოწმობს რომ ვირტუალურიი ოპერატორის შემოსვლა 5G ქსელის განვითარებაზე იმოქმედებს პოზიტიურად. 5G ტექნოლოგია არ არის 4G-ს ჩამნაცვლებელი. 5G ტექნოლოგიის ძირითადი მომხმარებელია ინდუსტრია და ბიზნესი, მაღალი სიჩქარისა და დაბალი დაყოვნების გამო. ამ ტექნოლოგიას მე-4 ინდუსტრიულ რევოლუციას უწოდებენ, რაც შეცვლის სამომხმარებლო ქცევას. ეს არის სატელეკომუნიკაციო ბაზრის განვითარების ინსტრუმენტი და 5G-ს დანერგვის შემდეგ მეტი შესაძლებლობა იქმნება, „ნიშური“ სეგმენტები უკეთ დაკმაყოფილდეს საკომუნიკაციო პროდუქტებით. ქსელის მფლობელი ოპერატორები დაინტერესებული არიან, რომ თავიანთ ქსელში უფრო მეტი ვირტუალური „ნიშური“ ოპერატორი იყოს, ვინაიდან მათ განიხილავენ საკუთარი ქსელის განვითარების ხელშემწყობად. 5G-ს ფარგლებში „ნიშური“ სეგმენტების დაკმაყოფილება კიდევ უფრო აქტუალური გახდება, რადგან ბიზნესისთვის უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა.

კ.ბექაურმა ეროვნული როუმინგის შემოღების საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ საკითხს სწავლობს კომისია და თუ გამოიკვეთა, რომ ეროვნული როუმინგის დაშვების ბაზარზე ასევე საჭიროა ვალდებულებების განსაზღვრა, კომისია დაუბრუნდება ამ მიმართულებას.

კომისიის 2019 წლის 30 დეკემბრის სხდომაზე კ. ბექაურმა, აღნიშნა, რომ საკითხის ზეპირ მოსმენაზე ყველა საკითხი იქნა განხილული და მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ოპერატორების შენიშვნები. კერძოდ, გადაწყვეტილების პროექტით გათვალისწინებული ქსელის თავისუფალი რესურსების უზრუნველყოფის ვალდებულების ზედა ზღვარი მოიხსნა და ოპერატორებს დაეკისრებათ ქსელზე დაშვების ვალდებულება, მოთხოვნის ზღვარის შეზღუდვის გარეშე. რაც შეეხება ოფერტის გამოქვეყნებისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადებს, კომისიამ გაითვალისწინა ოპერატორების მოთხოვნა და კონსულტანტების შეთავაზება და არა თუ 4-დან 6 თვემდე, არამედ 1 წლამდე განსაზღვრა ვადა, მათ შორის ოფერტის გამოქვეყნებისთვის - გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვე, ხოლო ქსელზე პირველი დაშვება განხორციელდეს დაშვების მსურველი პირველი ავტორიზებული პირისაგან წერილობითი განაცხადის მიღებიდან 9 თვეში. შესაბამისად, ის ორი მთავარი საკითხი, რაზეც გაკეთდა აქცენტები ოპერატორების მხრიდან, გათვალისწინებულია კომისიის მიერ გადაწყვეტილების საბოლოო პროექტში.
ე.იმედაძემ დაამატა, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია ვირტუალური ქსელის ოპერატორს დაშვების მიზნით შესთავაზოს დაშვების ტარიფები „Retail Minus“ მეთოდოლოგიით. ანუ, დარჩება მხოლოდ ერთი მეთოდოლოგია;
კ.ბექაურმა აღნიშნა, ამ პროექტის ფარგლებში კომისიამ საკონსულტაციო კომპანია „PriceWaterhouseCoopers Advisory, s.r.o“ (“PwC”) დახმარებით შეისწავლა საერთაშორისო პრაქტიკა რომლის ფარგლებშიც გამოქვეყნდა საკონსულტაციო დოკუმენტი, სადაც MVNO დაშვების ტარიფების კალკულაციისას ყველაზე აპრობირებულ მეთოდოლოგიად დასახელებულია „Retail Minus“ მოდელი. შესაბამისად, თუ კომპანიები ვერ შეთანხმდებიან ტარიფების ნაწილში და კომისიას დასჭირდება შეთავაზებული ტარიფების შემოწმება, კომისია მოითხოვს Retail Minus მეთოდოლოგიით დაანგარიშებულ, აუდირებულ მოდელს შეთავაზებული ტარიფების შესამოწმებლად.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის სხდომებზე, კომისიის მიერ საფუძვლიანად და არგუმენტირებულად იქნა განმარტებული, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების მობილურ ბაზარზე დაშვება დადებით შედეგს გამოიწვევს და ხელს შეუწყობს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფას, რაც შესაბამისად, დადებითად აისახება მომხმარებელთა მომსახურების ხარისხზე და ფასებზე. არსებობს საკმაოდ ვრცელი საერთაშორისო პრაქტიკა რომელიც აჩვენებს, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის შესვლამ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ხელი შეუწყო ქსელის ტექნოლოგიურ განვითარებას, რადგან ქსელის ოპერატორებს უჩნდებათ საბითუმო მომსახურების დამატებითი სეგმენტიდან შემოსავლები, ასევე გაუმჯობესდა საბოლოო მომხმარებელზე მიწოდებული სერვისები და მომსახურების პაკეტები.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ბაზარზე ვირტუალური ოპერატორის არსებობისა და ოპერირებისათვის საჭირო სამართლებრივი გარემოს შექმნას. ამასთან ერთად, ავტორიზებულ პირებს აკისრებს სატელეკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულებას და ასევე, განსაზღვრავს დაშვების მოთხოვნის უპირობო უფლებას. კერძოდ, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე–2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია „მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის თავისუფალ ელემენტებთან, მათ ფუქნციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირის შეუზღუდავი დაშვება“. ამავე კანონის მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტებები) თანახმად, დაშვება არის „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ განსაზღვრული პირობებით (მათ შორის, ტარიფებით) საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტებით, ტექნიკური საშუალებებით, მათი თავისუფალი ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით, ან მათი გამოყენებით განხორციელებული (ან განხორციელებადი) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფა“, რომელიც, ამავე კანონის მე-2 მუხლის რ.ზ) ქვეპუნქტის თანახმად, მათ შორის მოიცავს „ვირტუალური ქსელების მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფას“.

კომისია აღნიშნავს, რომ მიუხედავად კანონით გათვალისწინებული დაშვების ვალდებულებისა, საქართველოში წლების განმავლობაში ფაქტიურად არ განვითარებულა მობილური ვირტუალური ოპერატორების საქმიანობა. აღნიშნული გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ კანონით გათვალისწინებული დაშვების ზოგადი რეგულაცია საკმარისი არ არის თავისუფალი საბაზრო/კომერციული პირობებით მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერის მოსახსნელად. არსებობს კონკურენციის შემზუღდველი გარემოებები და საჭიროებას წარმოადგენს დამატებითი მარეგულირებელი ღონისძიებების გატარება.

კომისია აღნიშნავს, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის მიერ მობილური ქსელით მომსახურების სრულყოფილი და კონკურენტული სერვისის შეთავაზების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს: შპს „მაგთიკომს“, სს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“, უნდა დაუდგინდეთ ვირტუალური ოპერატორის საკუთარ ქსელთან დაშვების სპეციფიური ვალდებულებები.

შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ მობილურ ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის წინასწარი რეგულირება ვირტუალური ოპერატორების ქსელთან თავისუფალი დაშვების მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის, ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის, მე-11 მუხლის მეორე და მესამე პუნქტების, მე-20, 21-ე, 22-ე, 23-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე, 34-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. განისაზღვროს მობილური ქსელით მომსახურების (ხმოვანი, ინტერნეტი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები „SMS“) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გეოგრაფიულ საზღვრად - საქართველოს მთელი ტერიტორია;

2. მობილური ქსელით მომსახურების (ხმოვანი, ინტერნეტი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები „SMS“) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე საქმიანობის განმახორციელებელ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად განისაზღვრონ:

   ა) შპს „მაგთიკომი”;
   ბ) სს „სილქნეტი“;
   გ) შპს „ვიონი საქართველო”.

3. მობილური ქსელით მომსახურების (ხმოვანი, ინტერნეტი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები „SMS“) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისიროთ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) ქსელთან დაშვების უზრუნველყოფის ვალდებულება, შემდეგი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით:

   3.1 ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით: მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია გამოაქვეყნოს მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა), გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 90 კალენდარული დღის ვადაში. მოწვევის ოფერტა უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას: შეთავაზებული ტექნოლოგიების, მომსახურების ტიპების, ქსელური ელემენტების (ქვესისტემების დონეზე) ჩამონათვალს და მათთან დაშვების პირობებს, ნუმერაციის რესურსის გამოყენების პირობებს;

   3.2 ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით:
   ა) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია, დაშვების მსურველი პირველი ავტორიზებული პირისაგან წერილობითი განაცხადის მიღებიდან 9 კალენდარული თვის, ხოლო ყველა მომდევნო ავტორიზებული პირისაგან წერილობითი განაცხადის მიღების თარიღიდან და პირველი ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის, ვადაში შეათანხმოს და გააფორმოს ქსელების შესაბამის ელემენტებთან დაშვების ხელშეკრულება და ასლი წარუდგინოს კომისიას ორმხრივი ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. უარის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია განაცხადის მიღების თარიღიდან 10 დღის ვადაში, დაშვების მსურველ პირსა და კომისიას წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარის მიზეზები.
   ბ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი, ვალდებულია დაშვების მსურველ პირს მიაწოდოს საკუთარი მობილური ქსელის მომსახურებების (ხმოვანი, ინტერნეტი და მოკლე ტექსტური შეტყობინება) მოთხოვნილი მოცულობა, მომსახურების არადისკრიმინაციული პირობებით. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დაშვების ვალდებულება არ იქნება უზრუნველყოფილი, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია განაცხადის მიღების

თარიღიდან 10 დღის ვადაში, დაშვების მსურველ პირსა და კომისიას წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარის მიზეზები.

3.3 დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება, მათ შორის მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) ქსელთან დაშვების უზრუნველყოფის ფარგლებში კომისიის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიური წესების თანახმად.

3.4 სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება,
შემდეგი კონკრეტული პირობებით: მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვების მიზნით შესთავაზოს დაშვების ტარიფები კომერციული პირობებით.

თუ დაშვების მსურველი პირველი ავტორიზებული პირისაგან წერილობითი განაცხადის მიღებიდან 9 კალენდარული თვის, ხოლო ყველა მომდევნო ავტორიზებული პირისაგან წერილობითი განაცხადის მიღების თარიღიდან და პირველი ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას დაშვების ტარიფებთან დაკავშირებით, კომისია დაინტერესებული პირის მომართვის საფუძველზე შეამოწმებს დაშვების ტარიფებს „Retail Minus“ მეთოდოლოგიით (რომელიც განმარტებულია საკონსულტაციო კომპანია „PriceWaterhouseCoopers Advisory, s.r.o“ (“PwC”)-სთან ერთად შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტში და გამოქვეყნებულია კომისიის ვებ გვერდზე) და ამ მიზნით იგი უფლებამოსილია გამოითხოვოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის აღნიშნული მეთოდოლოგიით შედგენილი აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები. დაშვების ტარიფის აღნიშნულ მეთოდოლოგიასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია გადაიანგარიშოს და დააკორექტიროს ტარიფები კომისიის შენიშვნებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

3.5 დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან, თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვების შეთავაზებისას, არსებითად მსგავსი გარემობებისა და ეკვივალენტური მოთხოვნების პირობებში, ვალდებულია უზრუნველყოს მოთხოვნილი მობილური ქსელის მომსახურების (ხმოვანი, ინტერნეტ და მოკლე ტექსტური შეტყობინებები) და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მსურველი მობილური ვირტუალური ოპერატორისათვის არადისკრიმინაციულად (შეუზღუდავად), ერთსა და იმავე ვადებში და ერთნაირი პირობებით მიწოდება;

ბ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის მიერ არადისკრიმინაციული პირობების დადგენა მოიცავს მომსახურების ერთგვაროვანი პირობების, მათ შორის: მომსახურების ხელმისაწვდომობის, ხარისხის, ტარიფების, მიწოდების ვადების, მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა არსებითი ინფორმაციის გამჭვირვალეობის, აგრეთვე ურთიერთოპერაბელურობის უზრუნველყოფას;

გ) დაუშვებელია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის მიერ ქსელების შესაბამის ელემენტებთან დაშვების თაობაზე ექსკლუზიური ხელშეკრულების დადება;

4. ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულებები არ აუქმებს/ანაცვლებს მობილური ქსელით მომსახურების ბაზარზე კომისიის სხვა გადაწყვეტილებებით მნიშვნელოვანი

საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის განსაზღვრულ ვალდებულებებს;

5. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სს „სილქნეტისთვის“, შპს „მაგთიკომისთვის“ და შპს „ვიონი საქართველოსათვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (ე. იმედაძე).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი